საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა მიმართ

ხარვეზების ანალიზი

Sida
DRC DANISH REFUGEE COUNCIL
საია GYLA

სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა მიმართ

ხარვეზების ანალიზი

თბილისი
2011

კვლევა მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**Sida**) მიერ დაფინანსებული პროექტის – „საქართველოში მცხოვრები დევნილების პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა“ – ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

ავტორი: **ნონა ქურდოვანიძე**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **ეკატერინე ფოფხაძე**
თამარ ჩუგოშვილი

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 95 23 53, 93 61 01
ტირაჟი: 300 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2011, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

1. **სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (ზოგადი მიმოხილვა) 5**

2. **დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა 6**

2.1. დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირებთან მიმართებით 7

2.2. დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებით 9

2.3. დევნილის სტატუსის მინიჭების/აღდგენის პრობლემა უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად, საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებთან მიმართებით 11

2.4. დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა 13

3. **კომპენსაციით გაცემა, ოჯახის ხელოვნურად გაერთიანების პრობლემა 14**

3.1. „კომისიის“ როლი კომპენსაციით დაკმაყოფილების პროცესში 16

4. **გამოსახლება და განსახლება 18**

4.1. გამოსახლება კომპაქტური განსახლების ობიექტიდან 18

4.2. გამოსახლება ე.წ. დროებითი თავშესაფრებიდან 24

4.3. გამოსახლების პროცედურა 27

4.4. გამოსახლების შესახებ გაფრთხილების ფორმა 29

4.5. ცვლილებები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებაში 30

4.6. გამოსახლების მეორე ტალღა 33

4.7. სტატისტიკური მონაცემები გამოსახლების და შემდგომი განსახლების შესახებ 37

5. პრივატიზაციის პროცესი 39

დასკვნა 42

დანართები 44

წინასიტყვაობა

იძულებით გადაადგილებული პირების სამართლებრივი მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ დევნილებთან მიმართებით გადადგმული ნაბიჯები ყოველთვის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს საზოგადოების ინტერესის საგანს. წლების განმავლობაში დევნილობასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი არაერთი ნორმატიული აქტის არსებობის მიუხედავად, კვლავაც სახეზეა ის ხარვეზები, რაც ხელს უშლის დევნილების პრობლემების გადაჭრის პროცესს. ეს ზოგჯერ არსებული კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციით, ხოლო ზოგ შემთხვევაში არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზით არის განპირობებული. ვფიქრობთ, მსგავსი ხარვეზების თავიდან აცილება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათ გაანალიზებაზე, რაც მომავალში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას შეუწყობს ხელს. წარმოდგენილი კვლევა სწორედ აღნიშნულის მცდელობას წარმოადგენს.

მოცემული კვლევა მომზადებულია პროექტის – „საქართველოში მცხოვრები დევნილების პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა“ – ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ და ხორციელდება ლტოლვილთა დანიის საბჭოსთან ერთად. კვლევაში ასახულია ყველა ის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლინდა. მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბოლო პერიოდში იძულებით გადაადგილებული პირების გამოსახლების და მათი განსახლების საკითხს. ასევე, წარმოდგენილია დევნილის სტატუსის მინიჭების, გაჭიანურებული პრივატიზაციის და საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი. გარდა ამისა, კვლევაში მოცემულია ის რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრით, არსებული პრობლემების მოგვარებას შეუწყობს ხელს.

ვფიქრობთ, რომ კვლევა დააინტერესებს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს და, ზოგადად, იმ პირებს, რომლებიც დევნილთა სამართლებრივი მდგომარეობით არიან დაინტერესებულნი.

1. სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (ზოგადი მიმოხილვა)

საქართველოში დღეისათვის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად დევნილი დაახლოებით 247000 პირი ცხოვრობს, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით, პირველ ეტაპზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დატოვა 130000-მა პირმა, რომელთა დიდმა ნაწილმა მოგვიანებით შეძლო მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება, ხოლო დაახლოებით 26000-მდე პირი კვლავაც დევნილობაში იმყოფება.[1]

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივ სტატუსს, დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ," რომელიც 1996 წელს იქნა მიღებული. მოგვიანებით, დევნილთა მიმართ სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკა აისახა სახელმწიფო სტრატეგიაში, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით დაამტკიცა.

სტრატეგიის მიღების შემდგომ, 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგად ახალი ტალღის დევნილების გაჩენამ განაპირობა სახელმწიფო სტრატეგიის დანართის მიღება, რომელშიც ახალი ტალღის დევნილებთან მიმართებით სახელმწიფოს მიდგომა ჩამოყალიბდა.

საბოლოოდ, სახელმწიფო სტრატეგია დაეფუძნა ორ მთავარ მიზანს:

1. პირობების შექმნა დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის;
2. დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეულად ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმა.

---

[1] იხ. დანართი №2 – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს 2010 წლის 04 თებერვლის წერილი, №06-06/1354.

ამით 2007 წლის სტრატეგიაში პირველად მოხდა სახელმწიფოს ახალი კურსის დაფიქსირება, რომელიც, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებასთან ერთად, ორიენტირებულია ინტეგრაციასა და დევნილების პრობლემების გრძელვადიან გადაწყვეტაზე.

მოგვიანებით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. მასში, დევნილთა სოციალ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობისა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ადეკვატური გრძელვადიანი განსახლებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებაა გათვალისწინებული, რომელთა შესრულებით დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა უნდა მოხდეს.

მართალია, გრძელვადიანი გადაწყვეტა თავისთავად ხანგრძლივი და რთული პროცესია. თუმცა, მისი მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების დროულად აღმოუფხვრელობა კიდევ უფრო ართულებს სახელმწიფო სტრატეგიის მიზნების მიღწევას.

2. დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა

დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესში გამოვლენილი პრობლემებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა უკავშირდება დევნილის სტატუსის მინიჭებას. სუბიექტთა წრის მიხედვით, სტატუსის მინიჭების პრობლემა პირობითად შესაძლებელია რამდენიმე კატეგორიად დაიყოს:

- 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საცხოვრებლის სანაცვლო საკომპენსაციო თანხა (10000 აშშ დოლარი) აირჩიეს;
- 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებული პირები;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად, საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები.

2.1. დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირებთან მიმართებით

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს სახელმწიფომ განსახლების სხვადასხვა ფორმა შესთავაზა:

- სახელმწიფოს მიერ ახლად რეაბილიტირებული, აშენებული ან შესყიდული საცხოვრებელი ფართი;
- სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საცხოვრებელი ფართების სანაცვლო საკომპენსაციო თანხა (10000 აშშ დოლარი).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2009 წლის ივლისში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილი მოსახლეობისათვის აშენდა 3963 კოტეჯი, შესყიდულ იქნა 453 სახლი და რეაბილიტაცია გაუკეთდა 1500 ბინას. ჯამში განხორციელდა 5753 ოჯახის (18866 პირი) განსახლება.[2] 2011 წლის აპრილის მონაცემებით, მსგავს საცხოვრებლებში რეგისტრირებული დევნილების რიცხვი შეადგენს 19229 პირს.[3]

იმ პირებს, რომლებიც აღნიშნული ფორმით იქნენ განსახლებულნი, სამინისტრომ ძირითადად მიანიჭა დევნილის სტატუსი, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ ჯგუფს, რომლებმაც განსახლების ალტერნატიული საშუალება – 10 000 დოლარიანი კომპენსაციის მიღება აირჩიეს, შეექმნათ დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა. საკომპენსაციო თანხის მიღებამდე მათი დროებითი განსახლება განხორციელდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სხვადასხვა შენობაში. მათი განმარტებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ დევნილის სტატუსის მინიჭებაზე ზეპირი ფორმით უარი

---

[2] იხ. დანართი №3, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს 2009 წლის 10 ივლისის წერილი, №06-06/3333.

[3] იხ. დანართი №4, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 29 აპრილის წერილი, №06-06/2176.

უთხრა იმ დრომდე, სანამ მათი საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილება არ მოხდებოდა.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს, ყველა პირისათვის, „რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო“,[4] დევნილის სტატუსის მინიჭება უნდა განხორციელებულიყო დაუყოვნებლივ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონში აღნიშნული საკითხი ნათლად არის მოწესრიგებული, სამინისტრომ სტატუსის მინიჭება საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილებას დაუკავშირა, რითაც ხელოვნურად შეაფერხა სტატუსის მინიჭების პროცესი. საბოლოოდ, ამან დაამძიმა თვეების და წლების განმავლობაში საკომპენსაციო თანხის და დევნილის სტატუსის მოლოდინში მყოფი პირების სოციალური მდგომარეობა. აღნიშნულ პერიოდში მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო დევნილის ყოველთვიური შემწეობა, რადგან მისი გაცემა ხორციელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც დევნილის სტატუსი აქვთ მინიჭებული.

დღეისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა კვლავაც აქტუალურია. ეს ნათლად ჩანს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის (საია) მოწოდებულ ინფორმაციაში, რომლის თანახმად:

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული დაახლოებით 26000 პირიდან:

- 2009 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, სტატუსი მინიჭებული ჰქონდა 12112 პირს;

[4] “იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 1-ლი მუხლი.

- 2010 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით – 15497 პირს;
- 2011 წლის 29 აპრილის მდგომარეობით – 17714 პირს.
- 3591 პირი წარმოადგენდა ე.წ. ძველი ტალღის დევნილს (შესაბამისად, მათ დევნილის სტატუსი მინიჭებული აქვთ). [5]

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, დღეისათვის 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ დაახლოებით 4500-ზე მეტ პირს დევნილის სტატუსი კვლავაც არ აქვს მინიჭებული.

2.2. დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებით

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება მოუწიათ არა მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ დღეისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არამედ კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებსაც (მაგალითად, ზარდიაანთკარის, გუგუტიანთკარის, ზემო ნიქოზის, ქვეშის, ხურვალეთის და სხვა სოფლების მოსახლეობას). კონფლიქტის დროს აღნიშნული ტერიტორიებიდან წამოსული მოსახლეობა დღემდე ვერ უბრუნდება მუდმივ საცხოვრებელს და მათი დიდი ნაწილი შიდა ქართლში არსებულ სხვადასხვა ბაგაბაღში ცხოვრობს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათთვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს დღემდე არ აქვს ჩამოყალიბებული კონკრეტული პოზიცია.

ამ საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ დევნილის სტატუსის მინიჭებას პირდაპირ არ უკავშირებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებას. კანონის თანახმად, დევნილად ითვლება „საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვე-

[5] იხ. დანართი №4, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 29 აპრილის წერილი, №06-06/2176.

ბინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო". ამ მხრივ, ასევე საყურადღებოა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ, „დაცული იყვნენ იძულებითი დაბრუნებისაგან ან დასახლებისაგან ისეთ ადგილას, სადაც მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, თავისუფლებას და/ან ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება" (მე-15 პრინციპი). დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო ვერ იძლევა მტკიცე გარანტიას, რომ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების შემთხვევაში, კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებული პირების სიცოცხლე, უსაფრთხოება, თავისუფლება და/ან ჯანმრთელობა დაცული იქნება, ამიტომ, სწორედ დევნილის სტატუსის მინიჭება შეიძლება გახდეს იძულებითი დაბრუნებისაგან დაცვის ერთ-ერთი საშუალება.

მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სოფ. ახალი ხურვალეთიდან იძულებით გადაადგილებული ფ.ვ. მუდმივ საცხოვრებელ ადგილს ვერ უბრუნდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ მისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნულია – „თქვენი კუთვნილი საცხოვრებელი სახლი გორის რაიონ სოფელ ახალ ხურვალეთში მდებარეობს ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე, რომელზეც ქართული მხარის იურისდიქცია არ ვრცელდება". აღნიშნული წერილი არის მტკიცებულება, რომ ქართული მხარე ფაქტობრივად ვერ აკონტროლებს იმ სოფელს, სადაც ფ.ვ-ს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს. შესაბამისად, სახელმწიფო ვერ იღებს პასუხისმგებლობას, მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების შემთხვევაში, ფ.ვ-ს სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო მას არ ანიჭებს დევნილის სტატუსს.

რეკომენდაცია:

ყველა იმ პირს, რომლებიც კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილდნენ სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლებისათვის საფრთხის შემცველი პირობების არსებობის გამო და ვერ ბრუნდებიან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, უნდა მიენიჭოს დევნილის სტატუსი.

2.3. დევნილის სტატუსის მინიჭების/აღდგენის პრობლემა უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებთან მიმართებით

2004 წელს საქართველოს კონსტიტუციასა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელთაც საქართველოს წინაშე აქვთ განსაკუთრებული დამსახურება, ან მათთვის მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან, შესაძლებელი გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მიღება. ამ ცვლილებების შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, შეძლეს უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მიღებაც, რითაც საქართველოსთან აღიდგინეს პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი. თუმცა, მათთვის დევნილის სტატუსის მიღება/აღდგენა გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ამ მხრივ, შესაძლებელია გამოვყოთ უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მქონე იძულებით გადაადგილებულ პირთა ორი კატეგორია:

- იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებსაც იძულებით გადაადგილების შემდგომ არ ჰქონიათ მინიჭებული დევნილის სტატუსი;
- იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ დევნილის სტატუსი, თუმცა, შეუწყდათ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“

საქართველოს კანონის პირველ მუხლში მოცემული დევნილის სტატუსის განმარტების მიხედვით, დევნილის სტატუსის მიღება შესაძლებელია საქართველოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირისათვის, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. კანონი პირდაპირ არ აკონკრეტებს უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირთათვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას, ამიტომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო ამ კატეგორიის პირებს დევნილის სტატუსს არ ანიჭებს. თუმცა, კანონის სწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, მათთვის დევნილის სტატუსის მინიჭების შემაფერხებელი პირობები არ არსებობს, რადგან „საქართველოს მოქალაქეში", რა თქმა უნდა, ის პირებიც მოიაზრებიან, რომლებსაც უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობაც აქვთ.

მიუხედავად ამისა, არაერთგვაროვანი განმარტებების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია კანონში დევნილის სტატუსის მიმღები სუბიექტების დაზუსტება, რაც ნათლად უზრუნველყოფს ასეთი პირებისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას.

მეორე მხრივ, კანონი ითვალისწინებს დევნილის სტატუსის შეწყვეტის ისეთ საფუძველს, როგორიცაა უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, ხოლო ამ საფუძვლით შეწყვეტილი სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა კანონში მოცემული არ არის. ანუ, ის დევნილები, რომლებსაც შეწყვეტილი აქვთ სტატუსი უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო, საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენას ვერ ახერხებენ, რაც ერთგვარად არათანაბარ მდგომარეობაში ამყოფებს სხვა იძულებით გადაადგილებულ პირებთან შედარებით, რომლებსაც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა აქვთ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პირებს, რომლებიც მოქალაქეობის მიღებით კვლავ ახდენენ საქართველოსთან პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირის აღდგენას, მიეცეთ საშუალება, აღიდგინოს დევნილის სტატუსიც.

რეკომენდაცია:

პრობლემის მოსაგვარებლად, აუცილებელია შესაბამისი ცვლი-

ლებების შეტანა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში (იხ. საიას საკანონმდებლო წინადადება, დანართი №1), რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს დევნილის სტატუსის მიღების/აღდგენის საშუალებას მისცემს.

2.4 დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დევნილის სტატუსის მინიჭება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენს, ხოლო მისი მხრიდან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში. თავის მხრივ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.[6] მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო სასამართლო გადაწყვეტილებებს არ ასრულებს.

მაგალითად, საია საადვოკატო დახმარებას უწევდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თამარაშენიდან იძულებით გადაადგილებულ თეა მიქელაშვილს (სოფელი თამარაშენი დღემდე ოკუპირებულია). თავდაპირველად, თ.მ-სათვის დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით წერილობითი განცხადება წარედგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს, რომელმაც კანონით დადგენილ ერთ თვიან ვადაში განცხადებაზე რეაგირება არ მოახდინა, რაც დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმად ჩაითვალა. აღნიშნული უარი გასაჩივრდა სასამართლოში. სასამართლომ განიხილა საკითხი და მოპასუხე სამინისტროს დაავალა თ.მ-სათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან

[6] საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლი.

დაკავშირებით საკითხის შესწავლა და შესაბამისი აქტის გამოცემა. სასამართლოს დავალების შემდგომ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც თ.მ-ს უარი ეთქვა დევნილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციაზე. სამინისტრომ აღნიშნული უარი „დაასაბუთა" იმით, რომ თ.მ. თითქოსდა არ იყო სოფელ თამარაშენის მუდმივი მაცხოვრებელი, რაც დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში.

სასამართლომ საქმის განხილვისას შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდა თ.მ-ს სასარჩელო მოთხოვნა. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა: „საქმის მასალებით უტყუარად დგინდება, რომ თ.მ. მუდმივად ცხოვრობდა სოფელ თამარაშენში 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის. ამდენად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს უნდა დაევალოს, გამოსცეს აქტი თეა მიქელაშვილის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ". აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 23 აპრილს, თუმცა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს იგი დღემდე არ აღუსრულებია.

3. კომპენსაციის გაცემა, ოჯახის ხელოვნურად გაერთიანების პრობლემა

საკომპენსაციო თანხის გაცემის საკითხს არეგულირებს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებები,[7] რომელთა თანახმად, საკომპენსაციო თანხის მიღების უფლება აქვთ 2008

[7] საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915, 2009 წლის 19 თებერვლის №127, 2009 წლის 24 ივლისის №534, 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებები.

წლის აგვისტოს ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ იმ ოჯახებს, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საიასათვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საკომპენსაციო თანხა მიიღო 2000 ოჯახმა (5105-მა პირმა).[8] ამასთან, 2011 წლის 28 თებერვალს სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ეგრეთწოდებული კომპენსაციების გაცემა დასრულებულია."[9] საყურადღებოა, რომ არაერთ ოჯახს, რომელსაც კანონმდებლობა კომპენსაციით დაკმაყოფილების უფლებას აძლევს, საკომპენსაციო თანხები დღემდე არ მიუღია. ამიტომ ზემოხსენებული განცხადების მიუხედავად, კომპენსაციის გაცემის პროცესი დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

საკომპენსაციო თანხების გაცემის პროცესში გამოვლენილი პრობლემები:

- საკითხის მომწესრიგებელი განკარგულებების ბუნდოვანი შინაარსი (არ არის განმარტებული ოჯახის ცნება, რაც ხშირად ოჯახის ხელოვნური გაერთიანების საფუძველი ხდება. არ არის მკვეთრად გაწერილი პროცედურები, რომლის დაცვითაც უნდა მოხდეს საკომპენსაციო თანხების გაცემა);
- ე.წ. საკომლო წიგნების არარსებობა (ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობების განმარტებით, ომის დროს განადგურდა საკომლო წიგნები), რაც ართულებს ოჯახის შესახებ მონაცემების დადგენას;[10]

[8] იხ. დანართი №4, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 29 აპრილის წერილი, №06-06/2176.

[9] http://mra.gov.ge/#index/71&info_id=584/GEO.

[10] საკომლო მეურნეობა (სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი

- ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობების მიერ გაცემული ცნობების არასანდოობა (ხშირად მათ მიერ გაცემული ცნობები არ შეესაბამება რეალობას და ნინააღმდეგობაში მოდის მათ მიერვე გაცემულ სხვა ცნობებთან).

აღნიშნული მიზეზების გამო, სამინისტრომ, არაერთ შემთხვევაში, წლების წინ ცალკე კომლებად (ოჯახებად) რეგისტრირებულ და-ძმებს, მშობლებსა და შვილებს ერთ ოჯახად გაერთიანება და ერთი საკომპენსაციო თანხის აღება შესთავაზა. დევნილთა ნაწილი დათანხმდა სამინისტროს შეთავაზებას, ხოლო იმ ოჯახებს, რომლებმაც ხელოვნურად გაერთიანებაზე უარი განაცხადეს, საკომპენსაციო თანხა დღემდე არ მიუღიათ.

მაგალითად: აჩაბეთიდან იძულებით გადაადგილებული მამა-შვილის ოჯახებს, რომლებმაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს 1993 წლიდან ცალ-ცალკე კომლებად (ოჯახებად) რეგისტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარუდგინეს, საკომპენსაციო თანხებით დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ.

ასევე, არის შემთხვევები, როდესაც სამინისტრომ კონკრეტულ ოჯახებს გადაურიცხა კუთვნილი საკომპენსაციო თანხები, თუმცა, მოგვიანებით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გადარიცხული თანხები უკან დაიბრუნა.

3.1. „კომისიის“ როლი კომპენსაციით დაკმაყოფილების პროცესში

საკომპენსაციო თანხების გაცემაზე საუბრისას ცალკე უნდა აღინიშნოს ე.წ. კომისიის საქმიანობა და მისი როლი კომპენსაციით დაკმაყოფილების პროცესში. 2010 წლის ზაფხულიდან სამინისტროში ფუნქციონირებდა ე.წ. კომისია, სადაც „გასაუბრება“ გაიარეს იმ პირებმა, რომლებიც საკომპენსაციო თანხის მიღების

ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრთა საერთო საკუთრებას) რეგისტრირებული უნდა იყოს საკომლო (საადგილმამულო) წიგნში (საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, მე-4 მუხლი).

მოლოდინში იმყოფებოდნენ. გასაუბრების შემდგომ, ე.წ. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ხდებოდა საკომპენსაციო თანხების გაცემა ან გაცემაზე უარის თქმა. *მაგალითად: ვ.ა-ს ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაგზავნილი წერილით ეცნობა შემდეგი – „სამინისტროში მუშაობს კომისია, რომელიც შეისწავლის 2008 წლის აგვისტოს რუსულ-ქართული ომის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს. მას შემდეგ, რაც თქვენ გაივლით აღნიშნულ კომისიას“, ამის შემდგომ „გადაწყდება თქვენი ოჯახის საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილების საკითხი.“*

საია დაინტერესდა, თუ რა სტატუსი ჰქონდა ე.წ. კომისიას, რომელსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა დაკისრებული – არსებობდა თუ არა რაიმე აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა მისი ფუნქციები და საქმიანობის წესი. ასევე საინტერესო იყო იმის გარკვევა, ვინ შედიოდა კომისიის შემადგენლობაში. აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, 2010 წლის 30 აგვისტოს საიამ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს, რომელმაც განცხადება ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვა.[11] შესაძლოა აღნიშნული გამოწვეული იყოს სწორედ იმით, რომ ე.წ. კომისია შექმნილია ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შესაბამისად, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არა აქვს ლეგიტიმური ძალა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საკომპენსაციო თანხის გაცემა ან გაცემაზე უარის თქმა „კომისიის“ გადაწყვეტილებებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

რეკომენდაცია:

ყველა იმ ოჯახს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე ცალკე ოჯახად (კომლად) ცხოვრობდა და უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე, უნდა მიეცეს საკომპენსაციო თანხა.

[11] იხ. დანართი №5, საიას 2010 წლის 30 აგვისტოს განცხადება №გ-04/259-10.

4. გამოსახლება და განსახლება

2010-2011 წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა დევნილთა გამოსახლების პროცესი. გამოსახლება განხორციელდა როგორც ე.წ. დროებითი თავშესაფრებიდან, ასევე, კომპაქტური განსახლების ობიექტიდან.

4.1. გამოსახლება კომპაქტური განსახლების ობიექტიდან

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება;
- გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;
- ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;
- დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.[12]

2010 წლის ივნისში დევნილების გამოსახლება განხორციელდა ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. №2-ში მდებარე შენობიდან **(ამიერკავკასიის ჯარების სააფთიაქო სამმართველო).** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საიასათვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. №2-ში მდებარე **„ამიერკავკასიის ჯარების სააფთიაქო სამმართველო"** წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტს და 2010 წლის ივნისისათვის მასში რეგისტრირებული იყო 24 ოჯახი.

[12] საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ", მე-5 მუხლი, მე-4 პუნქტი.

გამოსახლების შემდგომ დევნილების გადაყვანა განხორციელდა ქ. თბილისში, საყვირის ქ. №2-ში მდებარე შენობაში.

მოცემულ შემთხვევაში, გამოსახლების კანონიერების შესაფასებლად, აუცილებელია იმის განსაზღვრა, კომპაქტური განსახლების ობიექტიდან გამოსახლებულ დევნილებს გადაეცათ თუ არა შესაბამისი საცხოვრებელი ფართი, რომლითაც არ გაუარესდა მათი საყოფაცხოვრებო პირობები. ვინაიდან კანონი არ აკონკრეტებს, რა შეიძლება ჩაითვალოს პირობების გაუარესებად, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ შესწავლას და შეფასებას მოითხოვს. თუმცა, საცხოვრებლის ადეკვატურობის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს, არის „დევნილთა ხანგრძლივვადიანი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები.“ ეს დოკუმენტი შეიმუშავა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭომ,[13] ხოლო შემდგომ იგი განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 ოქტომბრის №35 სხდომაზე.

ამ დოკუმენტის შესაბამისად, მაგალითად, 1-2 სულიანი ოჯახე-

[13] სამეთვალყურეო საბჭოს დებულება დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა მინისტრის 2011 წლის 18 იანვრის №3-ე ბრძანებით. სამეთვალყურეო საბჭოს მიზანია „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009 – 2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009 – 2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) განხორციელების საერთო კოორდინაცია, კერძოდ დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიანი გადაწყვეტა, სახელმწიფოზე დევნილთა დამოკიდებულების შემცირება, დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება;

ბისათვის განისაზღვრა საცხოვრებელი ფართის შემდეგი მინიმალური სტანდარტები:

ფართი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 25-35 კვ.მ-ს და, ამავე დროს, აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სააბაზანო ოთახში უნდა იყოს:

1. საშხაპე ცხელი წყლით;
2. ხელის დასაბანი ნიჟარა ცხელი წყლით;
3. ვენტილაციის სისტემა;
4. კაფელით მოპირკეთებული იატაკი და კედლები;
5. რეცხვადი საღებავები ყველგან;
6. ჰიდროსაინჟინრო მასალისაგან გაკეთებული ჭერი;
7. იატაკქვეშა სადრენაჟე არხი საშხაპეში.

ბ) სამზარეულოში უნდა იყოს:

1. ნიჟარა;
2. ღუმელი;
3. ნიჟარის უკან კაფელისაგან გაკეთებული ორი მწკრივი წყლის შხეფებისაგან დასაცავად.

გ) დამონტაჟებული უნდა იყოს ინდივიდუალური გაზის ღუმელი გათბობის მიზნით.

დ) კედლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. არსებული ტიხრები უნდა შენარჩუნდეს იქ, სადაც ეს შესაძლებელია. ახალი ტიხრების აშენების შემთხვევაში, მითითებული უნდა იქნეს ხმაგაუმტარი და მსუბუქი მასალები (knauf-ის ტიპის);
2. არ უნდა იყოს ყრუ ოთახი;
3. ფანჯრები უნდა იყოს ორმაგი;
4. კედლები უნდა იყოს შეღებილი;

5. სამზარეულოს კედლების შესაღებად გამოყენებული უნდა იყოს რეცხვადი საღებავი.

ე) იატაკი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ლამინირებული იატაკი გამოყენებული უნდა იქნეს იქ, სადაც იატაკი გამოცვლას საჭიროებს;
2. საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს იატაკქვეშა საფარი.

ვ) ელექტროგაყვანილობა უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს.

იმის მიუხედავად, რომ სტანდარტებს არ აქვს ნორმატიული აქტის სახე, მასში გამოხატულია სახელმწიფოს ხედვა იმ მინიმალურ სტანდარტებზე, რომელთა დაცვითაც უნდა შეიქმნას ადეკვატური საცხოვრებელი პირობები. სწორედ ამიტომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში“ განხორციელებული ცვლილებებით, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისას მითითებული სტანდარტები ამოსავალ დოკუმენტად იქნა აღიარებული.

თვალჭრელიძის ქუჩაზე არსებული კომპაქტური განსახლების ობიექტიდან დევნილების გამოსახლებამდე საიას წარმომადგენელმა მოინახულა ის საცხოვრებელი, რომელშიც დევნილებს უწევდათ ცხოვრება. გამოსახლების შემდგომ ასევე მოხერხდა საყვირის ქუჩაზე მათთვის შეთავაზებული საცხოვრებლების დათვალიერება და შეფასება. აღმოჩნდა, რომ გამოსახლების შემდგომ, დევნილებისათვის გადაცემული ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები არ იყო შესაბამისობაში ზემოთ დასახელებულ სტანდარტებთან და აუარესებდა მათ საცხოვრებელ პირობებს. საყვირის ქუჩა №-2-ში არსებული შენობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა დღემდე არ მომხდარა.

დევნილთა საცხოვრებლები თვალჭრელიძის ქუჩაზე

გამოსახლების შემდგომ დევნილთათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართები საყვირის ქუჩაზე.

როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და დევნილთა სამინისტრო ამ საკითხზე საიასათვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს, „დევნილთა გადაყვანა ალტერნატიულ საცხოვრებელში წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფოს სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწი-

ნებულ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების შემადგენელ ნაწილს.“ თუმცა, უნდა ითქვას, რომ, ამ შემთხვევაში, დევნილების გამოსახლების და მათი შემდგომი განსახლებისას ვერ იქნა უზრუნველყოფილი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა, რომელიც ადგენს, რომ გამოყოფილი საცხოვრებელი ფართით არ უნდა გაუარესდეს დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები. ამიტომ ეს შემთხვევა არ შეიძლება შეფასდეს სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების შემადგენელ ნაწილად.

4.2. გამოსახლება ე.წ. დროებითი თავშესაფრებიდან

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, დევნილთა ახალი ნაკადის თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით, თბილისსა და რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში განხორციელდა იძულებით გადაადგილებული პირების შესახლება. მოგვიანებით, დევნილთა იმ ნაწილმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ახლად რეაბილიტირებულ, აშენებულ ან შესყიდულ საცხოვრებელში განსახლების წინადადება მიიღო, დატოვა დროებით გამოყოფილი ფართი და გადავიდა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ საცხოვრებელში (კოტეჯები, კორპუსის ტიპის საცხოვრებლები). ხოლო დევნილთა ის ჯგუფი, რომელთაც სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საცხოვრებლის სანაცვლო კომპენსაციის მიღება ირჩიეს, კვლავაც აგრძელებდნენ აღნიშნულ შენობებში ცხოვრებას საკომპენსაციო თანხების მიღებამდე.

თუმცა, გარდა აღნიშნული კატეგორიის დევნილებისა, მსგავს შენობებში არსებული თავისუფალი ფართები ძირითადად დაიკავეს 90-იანი წლების მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, რომლებსაც საცხოვრებელი ფართები არ გააჩნდათ. მათივე განმარტებით, აღნიშნულ შენობებში შესვლაზე ზეპირი ფორმით თანხმობები მიიღეს სხვადასხვა ოფიციალური პირისაგან.

საბოლოოდ, ე.წ. დროებით თავშესაფრებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები პირობითად შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

1. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგ-

ილებული პირები (ე.წ. „ახალი დევნილები“), რომლებმაც უარი განაცხადეს ახლად აშენებულ, რეაბილიტირებულ და შეძენილ ფართებში გადასვლაზე და ელოდნენ საკომპენსაციო თანხის (10 000 აშშ დოლარი) მიღებას;

2. 1989-1993 წლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ ე.წ. კერძო სექტორში (სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში) და წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ ნათესავებთან ან ქირით;
3. 1989-1993 წლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში;
4. 1989-1993 წლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც სამოქმედო გეგმის ამოქმედებამდე დაკმაყოფილდნენ (ინვესტორების მიერ) კომპენსაციით, თუმცა, მიღებული თანხის სიმცირის ან სხვა მიზეზით ვერ შეძლეს საცხოვრებელი ფართების შეძენა.

ყველა ზემოთ დასახელებული კატეგორიის დევნილების გამოსახლების პროცესი ქ. თბილისში დაიწყო 2010 წლის ივლისიდან (პირველი ტალღა) და გაგრძელდა 2011 წლის იანვრის ჩათვლით (მეორე ტალღა). მიუხედავად იმისა, რომ გამოსახლების პირველი (2010 წლის ივლისი-აგვისტო) და მეორე ტალღა (2010 წლის ნოემბერი – 2011 წლის იანვარი) განსხვავებული ფორმით წარიმართა, დაფიქსირდა იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების დარღვევის ფაქტები, რასაც ადგილი ჰქონდა ორივე შემთხვევაში.

უშუალოდ გამოსახლების პროცესის განხილვამდე, მნიშვნელოვანია იმ შენობების სტატუსის შეფასება, საიდანაც გამოსახლება განხორციელდა.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში განმარტებულია კომპაქტური განსახლების ობიექტის ცნება და ასეთად მიიჩნევა **„დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად იქნენ განსახლებულნი დევნილები.“**[14] იმავე კანონის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახ-

[14] „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 1[1] მუხლი, „ი“ პუნქტი.

ლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართის ფარგლებში.

როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისათვის აღნიშნული შენობები წარმოადგენდა დროებით თავშესაფარს. ამასთან, საქართველოს მთავრობა პერიოდულად გამოსცემდა განკარგულებებს „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ (მაგ. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის №1038 განკარგულება), რომლითაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული, ქალაქ თბილისში დროებით, ორგანიზებულად განსახლებული მოსახლეობის მიერ 2009 წლის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურება სს „თელასის“ მიერ წარდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად“. მსგავსი განკარგულებებით საქართველოს მთავრობა აღიარებდა შენობებში დევნილების ორგანიზებულად განსახლების ფაქტს. აქედან გამომდინარე, მათ შესახლებასთან დაკავშირებით არსებობდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმება. თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც მსგავს შენობებში ცხოვრობდნენ, არ ჰქონდათ მინიჭებული დევნილის სტატუსი. ამიტომ ამ შენობებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო „დევნილების“ ორგანიზებულად განსახლების ობიექტად არ მიიჩნევდა.

საფუძვლიანია ვარაუდი, რომ „დროებით თავშესაფრებში“ სახელმწიფოს მიერ განსახლებული 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების გაჭიანურება გამოწვეული იყო აღნიშნულ შენობებში მათი დარეგისტრირების თავიდან ასაცილებლად. რეგისტრაციის პირობებში „დროებით თავშესაფრებს“ ექნებოდა

ყველა ის მახასიათებელი, რასაც კანონმდებლობა კომპაქტური განსახლების ობიექტს უდგენს. ეს კი შეუძლებელს გახდიდა დევნილთა იმ ფორმით გამოსახლებას, რასაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი.

4.3. გამოსახლების პროცედურა

საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესს, პროცედურებს, პირობებს და პროცესში მონაწილე პირების უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება. 2010-2011 წლებში დევნილების გამოსახლება განხორციელდა პოლიციის მეშვეობით, რომელიც ვალდებული იყო, დაეცვა ის პროცედურები, რომლებიც №747 ბრძანებით არის განსაზღვრული.

ბრძანების თანახმად, იმისათვის, რომ პოლიციას ჰქონდეს გამოსახლების უფლებამოსილება, საჭიროა, მესაკუთრემ წარადგინოს განცხადება გამოსახლების მოთხოვნით. თავის მხრივ, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და საკადასტრო რუკა ან საკადასტრო გეგმა – თუ აღნიშნული დოკუმენტს მიხედვით, შეუძლებელია უძრავი ნივთის ზუსტი მისამართის ან სხვა პარამეტრების დადგენა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცნობა-ინფორმაცია ობიექტში დროებით მცხოვრებ ლტოლვილთა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ – თუ უძრავი ნივთი წარმოადგენს ლტოლვილთა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტს.[15]

[15] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ," მე-3 მუხლი, მე-3 პუნქტი.

პოლიცია მხოლოდ სრულყოფილი განცხადების წარდგენის შემთხვევაშია უფლებამოსილი, მიიღოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ზომები.

ბრძანება განსაკუთრებულ პირობებს ადგენს დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია, მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს და შეაჩეროს უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები მანამდე, სანამ ამ უკანასკნელისაგან არ მიიღებს წერილობით თანხმობას დევნილის გამოსახლებაზე.

ამასთან, დევნილის მოწმობა, სადაც დროებით საცხოვრებელ ადგილად მითითებულია არსებული კოლექტიური ცენტრის მისამართი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747 ბრძანების თანახმად, მიიჩნევა მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად. შესაბამისად, მისი წარდგენის შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია, შეწყვიტოს უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები.[16]

იმის გასარკვევად, იყო თუ არა დევნილთა გამოსახლების საფუძველი (გამომცემლობა „სამშობლოდან“, თამარაშვილის ქ. №9-ში არსებული შენობიდან (ამიერკავკასიის ყოფილი სამხედრო ოლქის შენობა), ისნის „სამხედრო ჰოსპიტლიდან“, მაჩაბლის ქ. №8-დან) მესაკუთრეების სრულყოფილი განცხადებები და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს წერილობითი თანხმობები, საიამ (2010 წლის 27 აგვისტოს №გ-04/257-10, 2010 წლის 17 აგვისტოს №გ-01/218-10, 2010 წლის 24 აგვისტოს №გ-04/254-10, 2010 წლის 26 აგვისტოს №გ-01/221-10, 2010 წლის 27 აგვისტოს №გ-04/258-10 განცხადებებით) მიმართა როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,

[16] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ,“ მე-8 მუხლი.

განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ წარდგენილ განცხადებებზე ნაწილობრივ გაგვცა პასუხი (2010 წლის 03 სექტემბრის №-6-06/8736 წერილი), რომელშიც აღნიშნულია, რომ სამინისტროს წერილობით თანხმობის გაცემაზე „არ ჰქონდა უარის თქმის საფუძველი". რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, მან თავდაპირველად აღნიშნული ინფორმაცია არ გადმოგვცა კანონით დადგენილ ვადაში, რაც ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის საფუძველი გახდა. საჩივრის წარდგენის და განხილვის შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია მოგვეწოდა, რომლის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ გასცა წერილობითი თანხმობები, რომლითაც მიზანშეწონილად ჩაითვალა დევნილების გამოსახლება ზემოთ დასახელებული შენობებიდან.

4.4. გამოსახლების შესახებ გაფრთხილების ფორმა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747 ბრძანება შესაბამის უფლებამოსილ პირს უშუალო გამოსახლების პროცედურის დაწყებამდე ავალდებულებს, რომ სავარაუდო ხელმყოფს მისცეს წერილობითი გაფრთხილება, რომლითაც მას შეეთავაზება სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის ნებაყოფლობითი შეწყვეტა.

პირველი ტალღის გამოსახლებისას დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გაფრთხილების ჩაბარების პროცედურების დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, რიგ შემთხვევებში „გაფრთხილება" განთავსებული იყო შენობის ფასადზე და არ პასუხობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების №1 დანართით დამტკიცებულ გაფრთხილების ფორმას საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ.

მაგალითად, გამომცემლობა „სამშობლოს" შენობაზე გაკრული „გაფრთხილება" იუწყებოდა, რომ 2010 წლის 19 ივლისიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დევნილებს შეეძლოთ, ნებაყოფლობით შეეწყვიტათ ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №14-ში მდებარე უძრავი ნივთის ხელყოფა ან სხვაგვარად ხელშეშლა და გაეტანათ მოძრავი ნივთები, ხოლო მითითებული ვადის გასვლის შემდგომ მათ

მიმართ განხორციელდებოდა იძულებითი ღონისძიებები. თუმცა, აღნიშნულ განცხადებაზე არ იყო აღნიშნული უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა გაფრთხილების უშუალოდ დევნილებისათვის ჩაბარებას, თუმცა, კედელზე გაკრული გაფრთხილების მსგავსად, არც აღნიშნული აკმაყოფილებდა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს (არ იყო მითითებული გაფრთხილების თარიღი და დრო, უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და სხვა).

4.5. ცვლილებები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებაში

დევნილთა გამოსახლების პროცესი, რომელიც დაიწყო 2010 წლის ივნისში, აქტიურ ფაზაში შევიდა 2010 წლის აგვისტოში. საყურადღებოა, რომ დევნილების აქტიური გამოსახლების პროცესს დაემთხვა ცვლილებები შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებაში. კერძოდ, „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში, 2010 წლის 2 აგვისტოს №698 ბრძანებით, ცვლილებები განხორციელდა. აღნიშნული ცვლილებებით გაუქმდა ის 5 დღიანი ვადა, რომელიც საკუთრების სავარაუდო ხელმყოფს ოფიციალური გაფრთხილების ჩაბარებიდან ხელყოფის ნებაყოფლობით შეწყვეტისათვის ჰქონდა განსაზღვრული. დღეს არსებული რედაქციით, „სავარაუდო ხელმყოფი ვალდებულია, გაფრთხილების ჩაბარების შემდეგ შეწყვიტოს სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა ან სხვაგვარად ხელშეშლა და გაიტანოს მისი მოძრავი ნივთები.“ ანუ აღარ არის დაკონკრეტებული ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელმყოფი უფლებამოსილი იქნება ნებაყოფლობით შეწყვიტოს ხელყოფა. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე, 2010 წლის 3 აგვისტოდან.

აღსანიშნავია, რომ დევნილებს არ გააცნეს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №698 ბრძანებით გათვალისწინებული ცვლილებები, ამიტომ მათ ჰქონდათ ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ გაფრთხილების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში შეეძლოთ დაკავებული ფართების ნებაყოფლობით გამო-

თავისუფლება, თუმცა, რეალურად, მათი გამოსახლება გაფრთხილების ჩაბარებიდან მე-2 დღესვე, ყოველგვარი გონივრული ვადის მიცემის გარეშე განხორციელდა.

ბრძანებაში შესული ცვლილებები (რომელიც მხოლოდ 2010 წლის 3 აგვისტოს „საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნდა) თვის დასაწყისში გამოსახლებული დევნილებისათვის არ იყო სათანადოდ ხელმისაწვდომი. ამიტომ მათ ვერ შეძლეს გონივრულ ვადაში ბრძანების გაცნობა, რათა განესაზღვრათ მისი არსი და მათი უფლებების შეზღუდვის ფარგლები.

საია მიიჩნევს, რომ მსგავსი ცვლილებები დევნილთა მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში გამოსახლების მიზნით განხორციელდა. ამას ადასტურებს ცვლილებების შემდგომი პრაქტიკა.

მაგალითად:

ქ. თბილისში, ყოფილი სამხედრო ჰოსპიტლის შენობიდან (ისანი) დევნილთა გამოსახლების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოსახლების მოთხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარ სამმართველოს განცხადებით მიმართა 2010 წლის 12 აგვისტოს.[17] შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარმა სამმართველომ, რომელსაც დევნილთა გამოსახლებისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროსაგან წერილობითი თანხმობის მოპოვება სჭირდებოდა, გამოსახლების მიზანშეწონილობის გასარკვევად განცხადება წარადგინა იმავე დღეს,[18] ხოლო სამინისტრომ გამოსახლებაზე თანხმობა ასევე იმავე დღეს განაცხადა.[19] იმავე დღით თარიღდება პოლიციის მიერ დევნილთათვის გადასაცემი შევსებული გაფრთხილებების ფორმებიც.[20] ხოლო უშუალოდ გამოსახლების პროცესი განხორციელდა მომდევნო დღეს, 13 აგვისტოს.[21]

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ გამოსახლების დღეს პროცესი

[17] იხ. დანართი №5.

[18] იხ. დანართი №6.

[19] იხ. დანართი №7.

[20] იხ. დანართი №8.

[21] იხ. დანართი №9.

ძირითადად მშვიდ გარემოში, განსაკუთრებული ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა, პრობლემები იქმნებოდა პროცესის სრულად დაკვირვების კუთხით. შეუძლებელი იყო შენობაში შესვლა და ადგილზე არსებული მდგომარეობის შეფასება. დევნილები ასევე საუბრობდნენ გამოსახლების პროცესში პირადი ნივთების დაკარგვის ფაქტებზე, ხოლო ადგილზე მობილიზებული საჭიროზე მეტი პოლიციელის არსებობა მათზე ერთგვარ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა.

2010 წლის ზაფხულში გამოსახლების დროს დაფიქსირებული მთავარი პრობლემები გამოსახლებული დევნილების ძირითადი ნაწილის თავშესაფრის გარეშე დარჩენას, საკომპენსაციო თანხების გაუცემლობას, გამოსახლებულ დევნილთა ნაწილისათვის რეგიონებში შეთავაზებულ საცხოვრებელ ადგილებში არასათანადო პირობების არსებობას უკავშირდება. მაგალითად, ერთ-ერთი ადგილი, სადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ გამოსახლებულ დევნილებს საცხოვრებელი ფართები შესთავაზა, იყო წალენჯიხის რაიონი, სოფელი ფოცხო-ეწერი. აღნიშნული შეთავაზება ბევრი დევნილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. დევნილთა დიდი უმრავლესობა არ დათანხმდა შეთავაზებულ წინადადებას ფოცხო-ეწერში გადასვლასთან დაკავშირებით. საიას წარმომადგენლებმა 2011 წლის მარტში მოინახულეს ფოცხო-ეწერში ჩასახლებული დევნილები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ჩასახლების შემდგომ არაერთმა ოჯახმა ფაქტობრივად დატოვა ფოცხო-ეწერი და საცხოვრებლად კვლავ თბილისში დაბრუნდა. მათივე თქმით, ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი გახდა. ადგილზე არ არსებობს დასაქმების შესაძლებლობა, ასევე, განსახლებული დევნილებისათვის არ არის ხელმისაწვდომი მიწის ნაკვეთები. პრობლემებია სამედიცინო მომსახურების და განათლების კუთხითაც. როგორც დევნილები აღნიშნავენ, ფოცხო-ეწერში არსებული სკოლა არ არის სრულად რეაბილიტირებული. ამიტომ ფოცხო-ეწერში მცხოვრები ბავშვები იძულებულნი არიან, განათლება სხვა სოფლების საჯარო სკოლებში მიიღონ, რომელიც 5 კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული მათ საცხოვრებელთან. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, ადგილზე არსებული ამბულატორია, სათანადო აღჭურვის და პირველადი სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო საშუალებების არარსებობის გამო,

ვერ ახდენს იქ მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურების სრულ უზრუნველყოფას.

რაც შეეხება უშუალოდ საცხოვრებელ შენობას, დროთა განმავლობაში გამოვლინდა არაერთი ხარვეზი, რაც, სავარაუდოდ, არასრულყოფილი რეაბილიტაციით არის გამოწვეული.

4.6. გამოსახლების მეორე ტალღა

2010 წლის ზაფხულში დევნილთა გამოსახლების ცუდი გამოცდილება და არსებული ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობა „იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურის“ (სოპ) მიღების საფუძველი გახდა, რომელიც დაამტკიცა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭომ.

სოპ-ის ძირითად მიზანს დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის არსებული საცხოვრებლის გამოთავისუფლების და სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის რეგულირება წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს, ყოველ კონკრეტულ გამოსასახლებელ ობიექტთან მიმართებით, დაევალა:

- გამოსათავისუფლებელი შენობის სტატუსის გარკვევა;
- იმის გამორკვევა, შენობაში მცხოვრებთაგან არის თუ არა ვინმე დევნილის სტატუსის მატარებელი, ან ცხოვრობენ თუ არა მასში დევნილის სტატუსის მაძიებელნი, რათა დევნილთა განსახლება სპეციალური დაცვის რეჟიმში მოხდეს;
- ინდივიდუალური მონაცემების საფუძველზე და პროფაილინგზე დაყრდნობით, იმის შეფასება, შესთავაზეს თუ არა დევნილებს, ან შესაძლოა თუ არა, შესთავაზონ ალტერნატიული საცხოვრებელი. ასევე, დაცულ იქნა თუ არა დევნილთა შესახებ კანონის მოთხოვნები გამონაკლის

შემთხვევებში შენობის გამოთავისუფლების თაობაზე და უნდა მიეცეს თუ არა პოლიციას ნებართვა შენობის გამოთავისუფლების ღონისძიებების აღსრულების თაობაზე;

- დევნილთა ინფორმირება ალტერნატიული საცხოვრებლის, სხვა საცხოვრებელში გადაყვანისა და, ასევე, იმის შესახებ, გაიცა თუ არა ნებართვა შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის თაობაზე მესაკუთრის ან პოლიციისათვის, ან გაიცა თუ არა დოკუმენტი ამგვარი ზომების დაუშვებლობის შესახებ;
- სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის ეფექტურად განხორციელების ზედამხედველობა, დევნილების უსახლკაროდ დარჩენის თავიდან აცილებისა და დევნილების ფიზიკური გადაადგილების პროცესის, მათ შორის, დევნილთა კუთვნილი ნივთების გადატანის კოორდინაციის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, სოპ-ი მიჩნეულ იქნა იმ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სახელმძღვანელო დოკუმენტად, რომლებიც ჩართულნი არიან შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესებში.

სოპ-ის მიღების შემდგომ განისაზღვრა 22 ობიექტი, საიდანაც, მიღებული პროცედურების მიხედვით, დაიგეგმა დევნილების გამოსახლება. აქედან, გამოსახლება განხორციელდა 20 ობიექტიდან. აღსანიშნავია, რომ გამოსახლებისას ვერ შესრულდა სოპ-ით გათვალისწინებული ის ძირითადი მიზანი, რაც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების უზრუნველყოფასთან იყო დაკავშირებული. კონკრეტულ შემთხვევებში, დაირღვა ის ვალდებულება, რომელიც საკომპენსაციო თანხების მიღებიდან 10 დღით ადრე გამოსახლების აკრძალვას ეხებოდა. ასევე, განმეორდა ის პრობლემები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2010 წლის ზაფხულში განხორციელებული გამოსახლებების დროს.

მაგალითად: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აკვირდებოდა 2011 წლის 20 იანვარს ქ. თბილისში, აბზიანიძის ქ. №4-დან (საბაჟო დეპარტამენტის შენობა) დევნილების გამოსახლების პროცესს, რომლის დროსაც დაფიქსირდა პროცედურების არაერთი დარღვევა, მათ შორის, ადგილი ჰქონდა დევნილების

სატვირთო ავტომობილებით გადაყვანის ფაქტსაც. უშუალოდ იძულებით გადაადგილებულ პირებთან საუბრის დროს გაირკვა, რომ ოჯახებს, რომლებსაც ჩაბარებული ჰქონდათ ინდივიდუალური შეტყობინებები კომპენსაციით დაკმაყოფილების თაობაზე, გამოსახლების მომენტში არ ჰქონდათ მიღებული კუთვნილი თანხა.

აღნიშნული მაგალითი ადასტურებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან „იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების“ დარღვევის ფაქტს. კერძოდ, დაირღვა სოპ-ის 6.9.1. პუნქტი, რომელიც შენობის გამოთავისუფლების გადავადების გამონაკლის შემთხვევებს ითვალისწინებს და ადგენს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ უნდა გადაავადოს პოლიციისათვის გამოსახლების თაობაზე თანხმობის წერილის გაგზავნა, თუ განსახლების დაგეგმილი დღისათვის ყველა პიროვნებას, რომელსაც ეკუთვნის ფინანსური დახმარება, ფიზიკურად არ მიუღია იგი შენობის გამოთავისუფლებამდე მინიმუმ ათი დღით ადრე. აბზიანიძის ქ. №4-დან გამოსახლებულ ოჯახთა ნაწილს საკომპენსაციო თანხა დღემდე არ გადასცემიათ, ხოლო რამდენიმე ოჯახმა კუთვნილი თანხა გამოსახლების დღეს მიიღო.

საია ასევე აკვირდებოდა ვაზისუბნის მე-2 მკ/რ-ში მდებარე 165-ე ბაგა-ბაღიდან გამოსახლების პროცესს, სადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ ასევე დაარღვია სოპ-ით გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნული დარღვევები შეეხებოდა არა მხოლოდ გამოსახლების დღეს, არამედ უშუალოდ გამოსახლებამდე განსახორციელებელ პროცედურებს. კერძოდ, სოპ-ის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს ევალება, პოლიციის მხრიდან დევნილთათვის გამოსახლებასთან დაკავშირებით გაფრთხილების ჩაბარებამდე, თავად მოახდინოს მათთვის ინდი-

ვიდუალური შეტყობინებების გადაცემა. [22]

პროფაილინგის შედეგად, დადგენილი იყო, რომ 165-ე ბაგა-ბაღში დაახლოებით 30 ოჯახი ცხოვრობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ინ-დივიდუალური შეტყობინების ჩაბარების დღეს მოსახლეობამ უარი განაცხადა შეტყობინებების ჩაბარებაზე, თუმცა, მათი თანხმობის შემთხვევაშიც, შეუძლებელი იქნებოდა ყველა ოჯა-ხისათვის შეტყობინების გადაცემა, ვინაიდან სამინისტროს მიერ დამუშავებული იყო ინფორმაცია მხოლოდ 13 ოჯახის თაობაზე, ხოლო მოტანილი შეტყობინებების რაოდენობა შეადგენდა 10-ს. დასახელებული დარღვევების მიუხედავად, პროცესის მწარ-მოებელმა პირებმა ცამეტივე ოჯახის გასწვრივ მიუთითეს, რომ მათ შეტყობინების ჩაბარებაზე უარი განაცხადეს. ამასთან, ობი-ექტში ვიზიტი შემდგარად, ხოლო გამოსახლებამდე ათდღიანი ვადა ათვლილად მიიჩნიეს. შესაბამისად, სრულიად უყურადღე-ბოდ იქნა დატოვებული პროფაილინგის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახების დიდი ნაწილის ბედი. გა-სათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნულ შენობაში მცხოვრებ დევნილებს (რომლებიც ე.წ. ხელმეორედ დევნილ პირებს წარმო-ადგენდნენ და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოუწიათ კოდო-რის ხეობის დატოვება), გამოსახლებისას არ შეეთავაზათ საკომ-პენსაციო თანხა (10000 აშშ დოლარი) მაშინ, როდესაც კანონმდე-ბლობა მათ საკომპენსაციო თანხის მიღების უფლებას აძლევდა.

[22] სოპ-ის თანახმად, ინდივიდუალურ შეტყობინებაში აღინიშნება, რომ სამინისტრო აპირებს, პოლიციისათვის გასცეს ნებართვა შენობაში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების სხვა საცხოვრებელში გადაყვანის თაობაზე (შეტყობინების გაკეთებიდან 10 დღის გასვლის შემდეგ),რასაც მოჰყვება გამაფრთხილებელი წერილის გამოცემა და აღსრულების ღონისძიებები პოლიციის მხრიდან, №747 ბრძანების შესაბამისად. წერილში მითითებულია პოლიციის მიერ შენობის გამოთავისუფლების აღსრულების სავარაუდო თარიღი და იგი მოუწოდებს დევნილებს, ისარგებლონ ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით (ასეთის შეთავაზების შემთხვევაში), საკონსულტაციო შეხვედრითა და სხვა საცხოვრებელში გადაყვანაში დახმარების ღონისძიებებით, რომელსაც ორგანიზებას უწევს სამინისტრო.

4.7. სტატისტიკური მონაცემები გამოსახლების და შემდგომი განსახლების შესახებ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საიასათვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის ივნისიდან 2011 წლის იანვრის ჩათვლით სულ გამოსახლებული 1666 ოჯახიდან:

- სხვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულ ოჯახთა რაოდენობაა – 450
- კომპენსაციით დაკმაყოფილებულთა რაოდენობა – 440
- არადევნილი ოჯახების რაოდენობა – 418
- კერძო სექტორში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობა – 79

სამინისტროს შეთავაზებას:

- დათანხმდა – 76 ოჯახი
- არ დათანხმდა – 203 ოჯახი

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სხვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულთა რიცხვში სამინისტრო მოიაზრებს იმ პირებსაც, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სხვადასხვა კომპაქტური განსახლების ობიექტში, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მათ რეალური საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გამოსახლებულ დევნილთა არც თუ მცირე ნაწილი სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ფართით არ არის დაკმაყოფილებული. ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი დევნილებისაგან სახელმწიფოს მიერ გრძელვადიანი განსახლებისათვის შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართებზე უარის თქმაა, რაც გამოწვეულია შეთავაზებული საცხოვრებელი ფართების არაადეკვატურობით.

საყურადღებოა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი კონკრეტულად არ განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს დევნილის საცხოვრებლით დაკმაყოფილება. მაგალითად, არ არის დადგენილი, სად უნდა განხორციელდეს თბილისში რე-

გისტრირებული დევნილის საცხოვრებლით დაკმაყოფილება – თბილისში თუ მის ფარგლებს გარეთ. მითითებული კანონი მხოლოდ კომპაქტური განსახლების ობიექტში მცხოვრები დევნილის შემთხვევაში იძლევა ზოგად განმარტებას, რომ გამოყოფილი საცხოვრებელი ფართით არ უნდა გაუარესდეს დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები. თავის მხრივ, ამ შემთხვევაში, არ არის განმარტებული, რა ჩაითვლება პირობების გაუარესებად, რაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს ანიჭებს თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ განმარტოს ნორმა. ამან შესაძლოა დევნილებთან მიმართებით არათანაბარი მიდგომა განაპირობოს. ამ მხრივ, უფრო რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან „კერძო სექტორში“ რეგისტრირებული დევნილები.

ასეთ ვითარებაში დევნილების თავშესაფრით დაკმაყოფილებისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროსათვის ამოსავალი უნდა გახდეს „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულება, რომლის მიხედვით, ერთ-ერთი მთავარი მიზანი დევნილთა სოციალ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა. გასათვალისწინებელია, რომ დევნილებმა იძულებით გადაადგილების პერიოდში მათი რეგისტრაციის ადგილებში ასე თუ ისე მოახერხეს ინტეგრაცია, ამიტომ მათი სხვა ქალაქში გადაყვანა (როგორც კომპაქტური ჩასახლების ობიექტში, ასევე, „კერძო სექტორში“ რეგისტრირებული დევნილებისათვის) ვერ ჩაითვლება ინტეგრაციის მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად, რაც გამოიწვევს დევნილების მდგომარეობის გაუარესებას და არსებული ინტეგრაციის მოშლას.

სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დევნილთა მიერ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და თავისუფალ არჩევანს, დიალოგს დევნილებთან და მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, გენდერულ თანასწორობას, ბავშვთა უფლებების და ადამიანის სხვა აღიარებული უფლებების დაცვას. აღსანიშნა-

ვია, რომ გამოსახლების მომენტში დევნილებს ძირითადად არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია იმ ადგილების შესახებ, სადაც მათი შემდგომი განსახლება იგეგმებოდა. ასეთ პირობებში ისინი მოკლებულნი იყვნენ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია:

- დევნილების გამოსახლება არ უნდა განხორციელდეს იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მათი უზრუნველყოფა სათანადო საცხოვრებლით. საცხოვრებლის შეთავაზება უნდა მოხდეს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;
- შეთავაზებული საცხოვრებელი ფართები შესაბამისობაში უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ „დევნილთა ხანგრძლივვადიანი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტებთან.“

5. პრივატიზაციის პროცესი

სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში დევნილთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემა, რაც პირდაპირი მიყიდვის ფორმით ხორციელდება. აღნიშნული ეტაპი (სამოქმედო გეგმის პირველი ეტაპი) დაიწყო 2009 წელს.[23] კომპაქტურ ჩასახლებებში დაკავებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადასაცემად შემუშავებულ იქნა ხელშეკრულების ფორმა, რომლის თანახმად, მყიდველს წარმოადგენს ოჯახის ერთი წევრი (გამონაკლისის სახით, მეუღლეებს შეუძლიათ თანასაკუთრებაში მიიღონ ქონება), ხოლო ოჯახის დანარჩენი წევრები არ ითვლებიან ფართის მესაკუთრეებად. თუმცა, საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ, მყიდველს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულე-

[23] საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულება „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ,“ დანართი №1, მუხლი 2.1.

ბაში მითითებული ოჯახის სხვა წევრები უზრუნველყოს სათანადო საცხოვრებელი პირობებით.

პრივატიზაციის პროცესში გამოვლენილი პრობლემები:

- რიგ შემთხვევებში კოლექტიურ ცენტრებში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, თუმცა, ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. დევნილებისათვის უცნობია პროცესის შეფერხების გამომწვევი მიზეზები (პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია 27246 დევნილ ოჯახთან მიმართებით, ხოლო ამ დრომდე ფართები საკუთრებაში გადაეცა მხოლოდ 6427 ოჯახს);[24]
- იმ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრებ დევნილებს, სადაც პრივატიზაციის პროცესი არ დაწყებულა, არ აქვთ ინფორმაცია, იგეგმება თუ არა მომავალში მათი საცხოვრებლის საკუთრებაში გადაცემა;
- ცალკეულ შემთხვევებში, უკვე ხელმოწერილ პრივატიზაციის ხელშეკრულებებში დაშვებულია უზუსტობები. მაგალითად, არასწორად არის მითითებული საცხოვრებელი ფართის ოდენობა, ოჯახის წევრების მონაცემები. ნათლად ჩამოყალიბებული პროცედურების არარსებობის გამო აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება ვერ ხერხდება;
- არის შემთხვევები, როდესაც დევნილებს სურთ უკვე გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმება, რადგან პრივატიზაციის შედეგად მიღებულ საცხოვრებელს არაადეკვატურად მიიჩნევენ ფართის სიმცირის ან სხვა გარემოებების გამო. ამასთან, აღნიშნავენ, რომ მათ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია ხელშეკრულების შინაარსის და მასზე ხელმოწერის თანმდევი შედეგების შესახებ;
- პრივატიზაციის შედეგად საცხოვრებელი ფართის მესაკუთრედ დევნილი ოჯახის ერთი წევრის დარეგისტრირება ოჯახის სხვა წევრებს, ცალკეულ შემთხვევებში, მძიმე მდგომარეობაში აყენებს. არის მაგალითები, როდესაც

[24] იხ. დანართი №11, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 29 მარტის წერილი, №06-06/1463.

მესაკუთრედ რეგისტრირებული პირი ასხვისებს პრივატიზაციის შედეგად მიღებულ ქონებას. მართალია, მას ასეთ დროს რჩება ხელშეკრულებაში მითითებული ოჯახის სხვა წევრების სათანადო საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის ვალდებულება, თუმცა, ასეთი ვალდებულების არსებობის პირობებშიც ვერ მიიღწევა ოჯახის დანარჩენი წევრების უფლებების ეფექტური დაცვა.

რეკომენდაციები:

- შემუშავებული უნდა იქნეს ნათლად გაწერილი პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულებაში დაშვებული შეცდომების აღმოფხვრის შესაძლებლობას;
- ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე დევნილებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია პრივატიზაციის თანმდევი შედეგების შესახებ;
- ხელშეკრულების ხელმოწერამდე დევნილებს უნდა მიეცეთ სათანადო დრო ხელშეკრულების შინაარსის გასაცნობად;
- ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად დევნილებს პრივატიზაციის შესაძლებლობასთან ერთად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ალტერნატიულ წინადადებებთან დაკავშირებით;
- საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ განახლებული მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- პრივატიზაციის ხელშეკრულებით საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში უნდა გადაეცეს ოჯახის ყველა წევრს.

დასკვნა

დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის და იძულებით გადაადგილებული პირების სამართლებრივი მდგომარეობის შეფასებისას გამოიკვეთა არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა არსებობა ხელს უშლის დევნილების ინტეგრაციის პროცესს და ზღუდავს მათ უფლებებს. იმისათვის, რომ შემცირდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა აღნიშნული საკითხები და შემოგვეთავაზებინა ჩვენი ხედვა ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კვლევაში აისახა, უკავშირდება დევნილის სტატუსის მინიჭებას. აღნიშნული პრობლემა სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია კანონის არასწორი ინტერპრეტაციით, ხოლო, მეორე მხრივ – საკანონმდებლო ხარვეზებით. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით პრობლემების აღმოფხვრას ხელს შეუწყობს იმ რეკომენდაციების გაზიარება, რომლებიც კვლევაშია წარმოდგენილი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო წინადადება, რომელიც საიამ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების სახით შეიმუშავა.

კვლევაში ყურადღება გამახვილდა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დღემდე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემაზე – ეს არის საკომპენსაციო თანხების მიუღებლობა, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული.

კვლევაში მოცემული საკითხებიდან ცენტრალური ადგილი ეთმობა გამოსახლება-განსახლების საკითხს. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია დევნილთათვის საცხოვრებლის შეთავაზება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რაც სრულ თანხვედრაშია „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009 – 2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დევნილთა სოციალ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზანთან.

ვფიქრობთ, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები დაინტერესდებიან კვლევაში ასახული საკითხებით. მნიშვნელოვანია, რომ ამ თემებზე გაგრძელდეს თანამშრომლობა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, დევნილთა წარმომადგენლობებთან, რადგან ვფიქრობთ, რომ მათთან დიალოგი ხელს შეუწყობს პრობლემების დროულად გამოვლენას და მათი გადაწყვეტის საუკეთესო გზების მოძიებას.

დანართები

დანართი №1

<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 18, 27.04.2005), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დევნილის ცნება

იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე, <u>უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მქონე</u> ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში“.

2. 1-ლი მუხლის მე-9 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლები

1. პირს დევნილის სტატუსი შეუჩერდება, თუ:

ა) ამ კანონის საფუძველზე სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში არ გაიარა რეგისტრაცია;

ბ) დასადგენია დევნილად ცნობისათვის წარდგენილი საბუთების სისწორე;

გ) დევნილად რეგისტრირებულია რამდენიმე რეგიონში.

2. პირს დევნილის სტატუსი აღუდგება, თუ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი.

3. პირს დევნილის სტატუსი შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით მოეხსნა დევნილის სტატუსი;

ბ) მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე აღმოიფხვრა ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზები და შესაბამის ტერიტორიაზე აღსდგა საქართველოს იურისდიქცია;

გ) მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

დ) გავიდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მუდმივ საცხოვრებლად;

ე) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა.

4. პირს ჩამოერთმევა დევნილის სტატუსი, თუ მან სტატუსი მიიღო ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე ან ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

5. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საკითხს წყვეტს სამინისტრო.

6. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევის ან აღდგენის თაობაზე დავას წყვეტს სასამართლო.

7. პირს დევნილის სტატუსი აღუდგება, თუ სასამართლომ გააუქმა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება. **ამ მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, დევნილის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, პირს დევნილის სტატუსი აღუდგება, თუ მან მიიღო საქართველოს მოქალაქეობა ან უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა.**“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

დანართი №2

g.04/113.10
2.03.10

საქართველოს ლტოლვილთა
და განსახლების სამინისტრო

MINISTRY OF REFUGEES AND
ACCOMMODATION OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა 15ª
ტელ.: (995 32) 31-15-85, ფაქსი: (995 32) 31-15-96

15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 31-15-85, Fax: (995 32) 31-15-96
www.mra.gov.ge

24.02.2010 № 06-06/1354

[თქვენს 19.02.2010 წ.
№g-04/142-10 განცხადებაზე]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ გიორგი ხეციძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად მუდმივი საცხოვრებელი ადგილი პირველ ეტაპზე დატოვა 130 ათასამდე პირმა. როგორც მოგეხსენებათ, შემდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუბრუნდა თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. დღეისათვის თავის სახლ-კარს ვერ უბრუნდება დაახლოებით 26 ათასი პირი.

იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი, დღეის მდგომარეობით, მინიჭებული აქვს 15 497 პირს.

რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მარტიაშვილი

დანართი №3

საქართველოს ლტოლვილთა
და განსახლების სამინისტრო

MINISTRY OF REFUGEES AND
ACCOMMODATION OF GEORGIA

0177, თბილისი, თამარაშვილის ქუჩა 15ª
ტელ.: (995 32) 31-15-85; ფაქსი: (995 32) 31-15-96

15ª, Tamarashvili str., 0177. Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 31-15-85, fax: (995 32) 31-15-96
WWW. mra.gov.ge

10.07.2009 № 06-06/3333

[თქვენს 30.06.2009 წ.
№g-01/264-09 წერილზე]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ხიდაშელს

ქალბატონო თამარ,

თქვენი წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ რუსეთის სამხედრო აგრესიისგან უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის აშენდა 3 963 კოტეჯი, შესყიდულ იქნა 453 სახლი და რეაბილიტაცია გაუკეთდა 1 500 ბინას. შესახლებული ოჯახების რაოდენობა შეადგენს 5 753 –ს (18 866 სული).

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მარტიაშვილი

დანართი №4

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ტᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ
ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ,
ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲑᲝᲚᲕᲘᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96
www.mra.gov.ge

№

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ჩუგოშვილს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2011 წლის 8 აპრილის №გ-05/12-11 ადმინისტრაციული საჩივრის პასუხად, წარმოგიდგენთ სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ დამატებით ინფორმაციას:

სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებული საცხოვრებელ ფართებში, სამოქალაქო რეესტრის მიერ, რეგისტრირებულია 19 229 პირი.

საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხა მიიღო 2 000 ოჯახმა (5 105 პირმა).

დევნილის სტატუსი მიენიჭა 17 714 პირს.

გადაადგილებულ პირთაგან დევნილის სტატუსი ჰქონდა 3 591-ს.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მარტიაშვილი

დანართი №5

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

№ [illegible] "[illegible]" [illegible] 201[illegible]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს ბატონ – გიორგი ხიზანიშვილს

გთხოვთ, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაატაროთ შესაბამისი ღონისძიებები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, თბილისში ბაღდათის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობებში იძულებით გადაადგილებული, სხვა პიზიკური და იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებული ფართების გამოთავისუფლება და უზრუნველყოთ გამოთავისუფლებული ფართების მესაკუთრესათვის გადაბარება.

წერილთან ერთად გიგზავნით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემულ №882010733338 ამონაწერს.

შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება ენიჭება პრივატიზების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს – ირაკლი ღლონტს.

დანართი 2 ფურცელი.

მინისტრის მოადგილე **დავით გიორგაძე**

109231 12 08 2

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi,Georgia

Tel.: (+995 32) 99 11 05; 99 11 11
Fax.: (+995 32) 92 15 34

დანართი №6

409341
12.08.17

საქართველოს ლტოლვილთა და
განსახლების სამინისტროს
დევნილთა საკითხების
დეპატრამენტის უფროსს

გაცნობებთ რომ მიმდინარე წლის 12 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსმ მოგვმართა №409281 წერილით მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მდებარე ბაღდათის ქუჩაზე (ნაკვეთი 23/017), ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიების განხორციელება (გამოსახლება).

სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, გთხოვთ წერილობით გვაცნობოთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემთა ბაზის შესაბამისად აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები მოქალაქეების დემოგრაფიული მონაცემები

ასევე გვაცნობოთ **მიზანშეწონილად** მიგაჩნიათ თუ არა მათ მიმართ გატარდეს სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიების განხორციელება (გამოსახლება).

პატივისცემით,

ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-II
განყოფილების უფროსი, პოლიციის კაპიტანი

დ. ბესიაშვილი

დანართი №7

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96
www.mra.gov.ge

12.08.2010 № 05/01-14/2326

ქ. თბილისის ისანი – სამგორის სამმართველოს
მე – 11განყოფილების უფროსს,
ბატონ დავით ბესიაშვილს

ბატონო დავით,

თქვენი, 2010 წლის 12 აგვისტოს № 409341 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თბილისში, ბაღდათის ქუჩაზე (ნაკვეთი № 23/017) მდებარე შენობები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით არ წარმოადგენს და არც წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებს და შესაბამისად, სამინისტროს მხრიდან არასდროს განხორციელებულა, აღნიშნულ მისამართზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით, ზემოხსენებულ შენობაში ფაქტობრივად მყოფი პირები დარეგისტრირებული (დამისამართებულნი) არიან სხვადასხვა მისამართებზე როგორც კერძო სექტორში, ისე კომპაქტურად განსახლების ობიექტებში (იხ. დანართი 18 ფურცლად).

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქ. თბილისში, ბაღდათის ქუჩაზე (ნაკვეთი № 23/017) მდებარე შენობებიდან შეჭრილ დევნილთა გამოსახლება.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ სამინისტრო ინდივიდუალურად განიხილავს აღნიშნულ პირთა საკითხს და განხილვის შედეგების გათვალისწინებით შესთავაზებს საცხოვრებელ ფართებს, შემდგომში მათთვის საკუთრებაში გადაცემის პირობით.

პატივისცემით,

დევნილთა საკითხების დეპარტამენტის
უფროსი

კობა გორგოძე

დანართი №8



საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის
შესახებ გაფრთხილება №327

414925

1. [illegible]

2. 12.08.10

გაფრთხილების ადგილი

გაფრთხილების თარიღი და დრო

3. 06.05.1949 წ.

ხელმყოფის ვინაობა და სხვა მონაცემები (თუ ცნობილია)

4. [illegible]

უფლებამოსილი ორგანოს დასახელება

5. [illegible]

უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა

6. [illegible] 23/017

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა (მისამართი)

გაცნობებთ, რომ 12.08.10 (განცხადების თარიღი) დასაბუთებული განცხადებით მოგმართა [illegible] 23/017 მისამართზე მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრემ (მისმა წარმომადგენელმა) [illegible] (გვარი და სახელი ან იურიდიული პირის სახელწოდება) და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა, რაც გამოიხატა თქვენს მიერ [illegible] 23/017 [illegible] 01.17.12.023.017 [illegible]

(საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის კონკრეტული ქმედების აღწერა)

მესაკუთრის (მისი წარმომადგენლის) მიერ წარმოდგენილია საკუთრების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი [illegible] №: 01.17.12.023.017

(დოკუმენტის სახელწოდება, თარიღი და ნომერი)

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი ვარ გაგაფრთხილოთ:

1. დაუყოვნებლივ ნებაყოფილობით შეწყვიტოთ სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა ან სხვაგვარად ხელშეშლა და გაიტანოთ თქვენი ნივთები;

2. საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის დასრულებამდე წარმოადგინოთ აღნიშნული უძრავ ნივთზე თქვენი საკუთრების მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს უძრავ ნივთზე აღნაგობის, უზუფრუქტის, სერვიტუტის, იპოთეკის (მხოლოდ ბინაში (ცხოვრების უფლებით), იჯარის, ქირავნობის ან თხოვების უფლებას, საჯარო რეესტრში არარეგისტრირებული ქირავნობის

ან თხოვების ხელშეკრულება, კანონიერ ძალში შესული სასამართლოს (კერძო არბიტრაჟის) გადაწყვეტილება ან „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტი, ლტოლვილის ან იძულებით გადაადგილებული პირის-დევნილის მოწმობა ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა ლტოლვილის ან დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მხოლოდ ლტოლვილთა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებისათვის) ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

3. ზემოაღნიშნულ ვადაში ამ გაფრთხილებით განსაზღვრული კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში:

ა) თქვენ დაგეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) ყალბი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში თქვენ პასუხს აგებთ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) თქვენს მიმართ იძულებითი წესით განხორციელდება სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები;

დ) თქვენს მიერ უძრავი ნივთის ადგილსამყოფელზე გამოუცხადებლობა ვერ გახდება სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი;

ე) სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთიდან გამოთავისუფლდება მასში მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ განთავსებული ყველა მოძრავი ნივთი;

ვ) უძრავი ნივთიდან გამოთავისუფლებული ნივთების მოცლა-შენახვაზე პასუხს არ აგებს უძრავი ნივთის მესაკუთრე და უფლებამოსილი პირი.

გაფრთხილების მიმღების ვინაობა, ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღიშვნა.

---------- /ვ. ნ...ი/

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

დანართი №9

415366

საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის
აღკვეთის აქტი № 325

ოქმის შედგენის ადგილი

13.08.10
ოქმის შედგენის თარიღი

[illegible]

უფლებამოსილი ორგანოს დასახელება

ოქმის შემდგენის - უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა

[illegible]

უძრავი ნივთის მესაკუთრის, გვარი, სახელი (იურიდიული პირის შემთხვევაში [illegible] სახელწოდება) და მისამართი.

[illegible] N.01.17.12.223.917

საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის სახელწოდება, გაცემის თარიღი და ნომერი

[illegible] 223917

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა (მისამართი)

12.08.10 [illegible]
განცხადების თარიღი და ნომერი

12.08.10
ხელყოფის გაფრთხილების თარიღი

[illegible]

ხელყოფის ვინაობა (მისი ყოფნის შემთხვევაში)

[illegible] 223917 [illegible]

საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიების შინაარსი

ა) [illegible]
დამსწრის სახელი, გვარი, მისამართი და ხელმოწერა (თუ არის)

ბ) ----------
დამსწრის სახელი, გვარი, მისამართი და ხელმოწერა (თუ არის)

13.08.10
ოქმის შემდგენის ხელმოწერა და თარიღი

დანართი №10

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96
www.mra.gov.ge

29.03.2011 № 06-06/1463

[თქვენს 21.03.2011 წლის
№g-04/69-11 განცხადებაზე]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ჩუგოშვილს

ქალბატონო თამარ,

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ უკვე მიღებულია გადაწყვეტილება 27 246 დევნილი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და პროცესი მიმდინარეობს. ხოლო იმ ოჯახების რაოდენობა, რომელსაც უკვე ხელთ აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკუთრების ფლობის შესახებ, შეადგენს 6 427 ოჯახს.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მარტიაშვილი